კონფიდენციალური
XX-XX-20XX

#XXXXXXXXX გენერალური ხელშეკრულების შემადგენელი
სესხის ხელშეკრულება #XXXXXXXXX-01
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

1. სესხის საპროცენტო განაკვეთი
1.1 საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
1.2 წლიური საპროცენტო განაკვეთი: XX.XX%
1.3 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: XX.XX %
1.4 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას გამოყენებული დაშვებებია: ა) უპროცენტო პერიოდისარსებობის შემთხვევაში გაითვალისწინება საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მნიშვნელობა; ბ)სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემის შემთხვევაში, ლარის გაუფასურება ხდება ყოველდღიურად თანაბარი აბსოლუტური ოდენობით და მომხმარებელი თანხის გამოტანასა და შეტანას ახორციელებს ლარებში.

2. სხვა ფინანსური ხარჯები
* შენატანის ოდენობა: თანდართული გრაფიკის შესაბამისად
* ვადის ბოლოს შენატანი: XXX.XX ლარი
* გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი: სესხის მთლიანი თანხის - X%, არანაკლებ X ლარი
* ადმინისტრაციულ ორგანოში გადასახდელი (იპოთეკის/რეგისტრირებული გირავნობის არსებობის შემთხვევაში): XXX ლარი
* სადაზღვევო ხარჯი: სესხის მთლიანი თანხის - წლიური X% , არანაკლებ X ლარი
* მობილური საფულის გახსნის ხარჯი: X ლარი
* საკრედიტო საინფორმაციო ბაზაში გადამოწმების საკომისიო: X ლარი

3. სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია
3.1 სესხის მთლიანი თანხის ოდენობა: XXXX ლარი
3.2 მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: XXXX ლარი
3.3სესხის ვადა: XX-XX-20XX
3.4 სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: XX-XX-20XX
3.5 სესხის წინასწარი ნაწილობრივი ან სრულად დაფარვის პირგასამტეხლო: სესხის ხელშეკრულებისდასრულებამდე 6-დან 12 თვემდე ვადის არსებობის შემთხვევაში - სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზემიმართული თანხის 0,5%; სესხის ხელშეკრულების დასრულებამდე 12-დან 24 თვემდე ვადის არსებობისშემთხვევაში - სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 1%; სესხის ხელშეკრულებისდასრულებამდე 24 თვეზე მეტი ვადის არსებობის შემთხვევაში - სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზემიმართული თანხის 2%.
3.6 პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე: პირველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა განისაზღვრება X ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო

ვადაგადაცილებულ დღეზე - გადაცილებული ძირი თანხის/შენატანის X%. იმავდროულად მომდევნო დღეებზე დასარიცხი პირგასამტეხლოს დღიურმა ოდენობამ არუნდა გადააჭარბოს ნარჩენი ძირის 0.27%-ს, ხოლო ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულაღმოფხვრამდედ პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამურმა მოცულობამ - მიმდინარე ნარჩენიძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
3.7 სხვა პირგასამტეხლო: XXX
3.8 უზრუნველყოფის (არსებობის შემთხვევაში) ცვლილების საკომისიო: უზრუნველყოფის საგირავნო ღირებულების X%
3.9 გამონაკლისის სახით უაქცეპტო წესით დასაშვებია ხელშეკრულების პირობების ცვლილება ცალმხრივად გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდებისათვის ან/დაუზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისათვის) მინიმუმ 2 თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, რომელიც უნდა განხორციელდეს მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით მსესხებლისრეკვიზიტებში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე. ტელეფონის ნომერი: 5XX XX XX XX

3.10 მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია გამსესხებლის XXXXX დეპარტამენტში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (ელ. ფოსტაზე - Complaint@crystal.ge)

3.11 სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნულიბანკი, მისამართი: 0114 საქართველო, თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2. ფინანსური პროდუქტისმომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 0322406406.

3.12 ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

“გამსესხებელი“ "მსესხებელი/წარმომადგენელი"

წარმომადგენელი: _____ _____

იდენტიფიკაციის შემსრულებელი: _____ / ხელმოწერა /

კონფიდენციალური
XX-XX-20XX

#XXXXXXXXX გენერალური ხელშეკრულების შემადგენელი
სესხის ხელშეკრულება #XXXXXXXXX-01

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 გამსესხებელი -სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 212896570; იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა #22; ფაქტობრივი მისამართი: XXXXX

1.2 მსესხებელი - XXXXXX XXXXXXXXX, იურიდიული მისამართი: XXXXX ფაქტობრივი მისამართი: XXXXX, პირადი ნომერი: XXXXXXXXXXX, დაბადების თარიღი: XX-XX-XXXX, მობილური ტელეფონის ნომერი: 5XX XX XX XX,

გამსესხებელი და მსესხებელი, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და გამსესხებლის წესდებით მინიჭებულიუფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გამსესხებელი უზრუნველყოფს მსესხებლისთვის სასყიდლიანი სესხისმიწოდებას.
2.2. გამსესხებელი და მსესხებელი იღებენ ვალდებულებას დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებითადა ამავე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილებით (თავსართი, დანართ(ებ)ი) ერთმანეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

3. ძირითადი პირობები

3.1 სესხის მნიშვნელოვან პირობებთან (თავსართი) ერთად ასევე განისაზღვრება შემდეგი პირობები:

3.1.1 სესხის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის ოდენობა:	XXXX ლარი
3.1.2 ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი:	X.XX %
3.1.3 სესხის მიზნობრიობა :	განაცხადში მითითებული სესხის მიზნობრიობა
3.1.4 უზრუნველყოფა:	#XXXXXXX

3.2 დამატებითი პირობები და ინფორმაცია:
3.2.1 სესხის ტრანშებად გაცემის შემთხვევაში: ა) პროცენტის დარიცხვა ხდება გაცემული თანხის ოდენობიდან; ბ) ტრანშებისგაცემა ხდება შეთანხმებული ტრანშების გეგმის/დათქმების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმავდროულად ყოველიწინა ტრანშის პირობების მსესხებლის მხრიდან სრულად შესრულების შემთხვევაში. გ) სესხის დაფარვის გრაფიკი გაფორმდებაყოველი ტრანშის გაცემისას გაცემულ ერთიან თანხაზე; დ) გამსესხებელს უფლება აქვს არ გასცეს/შეწყვიტოს ტრანშის გაცემა, იმშემთხვევაში თუ დაირღვევა ტრანშების გაცემისთვის დათქმული ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმეპირობა.
3.2.2 თუ სესხის მიზნობრიობა საზღვარგარეთ რეგისტრირებული/მყოფი ავტომანქანის შეძენაა, სესხის გაცემა ხორციელდებათანხის უნაღდო ანგარიშსწორების წესით ავტოიმპორტიორისათვის (კომპანია, რომელიც უფლებამოსილია უზრუნველყოს ავტომანქანების შეძენა-ტრანსპორტირება, მასთან როგორც მსესხებელს/დამგირავებელს, ასევე გამსესხებელს/მოგირავნეს აქვს

სახელშეკრულებო ურთიერთობა და ამასთანავე, დაფიქსირებულია სასესხო განაცხადში) სასესხო თანხის გადარიცხვით.
3.2.3 სესხის დაფარვა უნდა განხორციელდეს თანდართული სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამხელშეკრულების დანართს და განუყოფელ ნაწილს.
3.2.4 სესხზე ვადაგადაცილების შემთხვევაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი ყოველთვის მეტი იქნება თანდართულგრაფიკში მითითებულ საპროცენტო სარგებელზე
3.2.5 სესხის დაფარვის თანმიმდევრობა არის შემდეგი: სესხის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი; პირგასამტეხლო (ასეთივალდებულების არსებობის შემთხვევაში), დარიცხული საპროცენტო სარგებელი, სადაზღვევო ხარჯი, სესხის ძირითადი თანხა.
3.2.6 თუ მსესხებელს აქვს რამოდენიმე შესასრულებელი სასესხო ვალდებულება, ხოლო მისი მხრიდან გადახდილი თანხა არ არისსაკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მსესხებელიუფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს/დააფიქსიროს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა, რაც შეუძლია განახორციელოსსესხ(ებ)ის დასაფარი თანხის გადახდისას გამსესესხებლის საფილიალო ქსელში, სპეციალურ განაცხადზე ხელმოწერით. თუმსესხებელი არ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით, გამსესხებელს ენიჭება უფლებამოსილება თავად განსაზღვროს მსესხებლისვალდებულებების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა), ანუ ცალმხრივად გადაწყვიტოს, თუ რა ოდენობით და რომელპროდუქტთან დაკავშირებული დავალიანება დაიფაროს მსესხებლის მიერ ნაღდი თუ უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილითანხ(ებ)ით.
3.2.7 სესხის წინსწრებით ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, (მათ შორის ელექტრონული არხებით განხორციელებულიწინსწრებით ნაწილობრივი დაფარვისას), თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის 20%, არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, მსესხებლის, მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში გამსესხებელი ვალდებულია მას შესთავაზოს ახალიგრაფიკის მინიმუმ შემდეგი ალტერნატივები: ა) ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე ყოველთვიურიშენატანის შემცირების გზით; ბ) ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება.
3.2.8 მსესხებელი თანახმაა, წინსწრებით ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში გრაფიკის ცვლილებაზე მხოლოდ წერილობითიგანცხადებით მიმართოს გამსესხებელს. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ ზეპირი განაცხადი არ ჩაითვლება სათანადო წესითგაკეთებულ მოთხოვნად, შესაბამისად პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება მოქმედი გრაფიკის მიხედვით, შემცირებულ ძირითადთანხაზე და პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში გამსესხებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

4 მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები

4.1 მხარეები ვალდებულნი არიან:
4.1.1 სათანადოდ შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. თითოეულ მხარეს უფლება აქვსმოთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება;
4.1.2. დაიცვან ერთმანეთის საქმიანი რეპუტაცია, ბიზნესის კონფიდენციალურობა და უზრუნველყონ პერსონალური მონაცემებისუსაფრთხოების გარანტიები. იმავდროულად, კონფიდენციალურობის დარღვევად არ განიხილება ინფორმაციის მსესხებლისმინდობილი პირისათვის, უზრუნველყოფის მიმწოდებლისათვის, იურიდიული პირის შემთხვევაში მისი პარტნიორისათვისწინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დამუშავებული ინფორმაციის გაცემა, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებისგასაფორმებლად და მის ფარგლებში დამუშავებული მონაცემების (მათ შორის როგორც სესხთან, ასევე უზრუნველყოფის საგანთანდაკავშირებული მონაცემების) მიღება და გაზიარება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისუზრუნველყოფის მიზნით ავტოიმპორტიორთან, რომელიც ფიქსირდება სასესხო განაცხადში და ვისი მეშვეობითაცგანხორციელდა (ან განხორციელდება) მსესხებლის მიერ სესხის მიზნობრიობის შესრულება - ავტოსატრანსპორტო საშუალებისშეძენა (ასეთი მიზნობრიობის არსებობის შემთხვევაში).

4.1.3. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მათი საქმიანობით არ აყენებენ ნეგატიურ გავლენას ეკოლოგიურ და სოციალურგარემოს
4.2 მსესხებელი ვალდებულია:
4.2.1 გამსესხებლის მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 5 დღისა), წარმოადგინოს მისი საქმიანობის ამსახველიფინანსური და იურიდიული დოკუმენტები: ინვოისები, საბაჟო დეკლარაციები, ხელშეკრულებები მომწოდებლებთან დამყიდველებთან, ლიცენზიები, სერთიფიკატები, ბალანსები, მოგება-ზარალის უწყისები, ნაღდი ფულის მიმოქცევის უწყისები და ა.შ.
4.2.2 მისი ფინანსური ან ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების, ან ამგვარი საფრთხის არსებობისას, აცნობოს გამსესხებელს დაწარმოადგინოს დამატებითი გარანტიები, რომელსაც გამსესხებელი მიიჩნევს დამაკმაყოფილებლად;
4.2.3 წინასწარ აცნობოს გამსესხებელს საცხოვრებლის ან ბიზნესის ადგილმდებარეობის, ან საქმიანობის პროფილის შეცვლისშესახებ.
4.3 მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
4.3.1 წინამდებარე ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს მსესხებლის სადამფუძნებლო დოკუმენტების, ანნებისმიერი გარიგების, რომლის მხარესაც წარმოადგენს მსესხებელი, პირობის დარღვევას;
4.3.2. არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს გამსესხებლის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე;
4.3.3. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, რითაც საფრთხე ემუქრება მის ქონებას და/ან ბიზნეს აქტივებს;
4.3.5. დავის წარმოშობის შემთხვევაში ვალდებულებად აღიარებს გრაფიკით გათვალისწინებულ გამოუმუშავებელ საპროცენტოსარგებელს.
4.3.6 თანახმაა და იღებს ვალდებულებას, რომ:
4.3.6.1 მის რეკვიზიტებში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი გამოყენებულ იქნას გამსესხებლის მიერ მასთანდასაკავშირებლად ან/და ტექსტური ინფორმაციის მისაწოდებლად.
4.3.6.2 მსესხებელი მობილური ნომრის ცვლილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს გამსესხებელსახალ ნომერს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამსესხებელი უფლებას იტოვებს აღნიშნული ნომრის სხვა მომხმარებელზედუბლირებისას, ამ მომხმარებელთან ნომრის ვერიფიცირების შემდეგ, ამოშალოს მსესხებლის მონაცემებიდან დუბლირებულიტელეფონის ნომერი.
4.3.6.3 დუბლირებისას მსესხებლის მონაცემებიდან ტელეფონის ნომრის ამოშლის შემთხვევაში, გამსესხებელი თავისუფლდებამსესხებლისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო წარმოშობილიპასუხისმგებლობისაგან.
4.3.6.4 უზრუნველყოფს გამსესხებლის დაუყოვნებელ ინფორმირებას მის პირად მონაცემებში (სახელი, გვარი, მისამართი ან/დაგამსესხებელთან არსებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია), ასევე მსესხებელი თუ იურიდიული პირია - დამატებით მისდამფუძნებლებთან/ბენეფიციარ მესაკუთრეებთან/დირექტორებთან/პატრნიორებთან. დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილებისგანხორციელების შემთხვევაში;
4.3.7 მსესხებელი გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფინანსურ ხარჯებს და ეთანხმება მათ.
4.3.8 იცნობს შემდეგ ინფორმაციას მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებით:ა) იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხა განისაზღვრება უცხოური ვალუტით,მსესხებლისათვის ცნობილია და გათავისებული აქვს შესაბამისი სავალუტო რისკების არსებობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაშითუ მისი შემოსავლები ფიქსირდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილიამსესხებლისა და არსებობის შემთხვევაში სესხის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებების მხარეების მიმართშესაბამისი სამართალწარმოების დაწყების მეშვეობით ყადაღა დაადოს მათ მიმდინარე საბანკო ანგარიშებს, საკუთრებაშიარსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას და მოითხოვოს ამ ქონების იძულებითი წესით რეალიზაცია.

4.4 მსესხებელს უფლება არა აქვს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გამსესხებლის წინასწარი ინფორმირების გარეშე იკისროს სხვა სასესხო ვალდებულებები მესამე პირების (ფიზიკური ან იურიდიული) წინაშე;
4.5 გამსესხებელი უფლებამოსილია განახორციელოს სესხის თანხების მიზნობრიობისა და საპროცენტო სარგებლის დროულადდაფარვის მონიტორინგი, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის პერიოდული კონტროლი.
4.6 გამსესხებელი ვალდებულია:
4.6.1 უზრუნველყოფის მიმწოდებლ(ებ)ისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთანგაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი და ამავე ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაცგაფორმებულია მსესხებელთან. აღნიშნულის თაობაზე მსესხებელი ადასტურებს, რომ წინასწარ იქნა ინფორმირებულიგამსესხებლის მხრიდან.
4.6.2 მონაცემთა სუბიექტის თანხმობით მიღებული პერსონალური ინფორმაცია გამოიყენოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისშესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნებისთვის და არ დაუშვას კანონითა და იცეა შიდა ინსტრუქციითგანსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა.
4.6.3 მიაწოდოს მსესხებელს სრულყოფილი ინფორმაცია ა) წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშიკანონმდებლობით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებების და ნათლად აუხსნას ამ უფლებების რეალიზაციისშესაძლებლობები, ბ) გამსესხებლის სოციალური პასუხისმგებლობის, კლიენტთა საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმების,მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.
4.6.4 სესხზე დავალიანების წარმოშობისთანავე, გამოიყენოს მსესხებლის მიერ მისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაცია დამსესხებელს, ასევე არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფის მიმწოდებელს (თავდები, იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრე)შეატყობინოს აღნიშნული გარემოების დადგომასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

5. პრეტენზი(ებ)ის განხილვის პროცედურა

5.1. მსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დააფიქსიროს ნებისმიერი ტიპისუკმაყოფილება და დაუთანხმებლობა გამსესხებლის მიმართ, მათ შორის პრეტენზიად მიიჩნევა მსესხებლის მიერგამსესხებლისათვის წარდგენილი ნებისმიერი ზეპირი ან წერილობითი განცხადება;
5.2. მსესხებლის მხრიდან პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში გამსესხებელი ვალდებულია შესთავაზოს მას პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმა და ამ ფორმით წარდგენისთანავე დაუდასტუროს მასპრეტენზიის მიღება ასევე წერილობით ან ელექტრონულად. მსესხებელს პრეტენზიის ელექტრონული ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს გამსესხებლის ელექტრონულ მისამართზე - Complaint@crystal.ge ;
5.3. გამსესხებელი ვალდებულია მსესხებლის მხრიდან დაფიქსირებული პრეტენზია განიხილოს არაუგვიანეს ერთიკალენდარული თვის ვადაში. პრეტენზიის განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება მსესხებელს პრეტენზიისდაფიქსირების მეთოდის იდენტური ფორმით. შეტყობინება უნდა შეიცავდეს პრეტენზიის გადაწყვეტის პირობებს.
5.4. ამ ხელშეკრულების 5.1-5.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება გამსესხებელზე არ ვრცელდება იმ შემთხვევაში,თუ: 1. ამავე მსესხებლის იგივე შინაარსის პრეტენზია ერთხელ უკვე განხილულია და ადგილი არ აქვს დამატებით მნიშვნელოვანფაქტებსა და გარემოებებს იმავე საკითხთან დაკავშირებით; 2. მსესხებლის პრეტენზია ეხება გამსესხებლისგან საკრედიტოპროდუქტის მიწოდებაზე უარის თქმას; 3. პრეტენზიის მიზანს წარმოადგენს შეფერხებები ან უარი მომსახურების გაწევაზე,რომელიც განპირობებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონით და სხვასაკანონმდებლო შეზღუდვებით;
5.5. გამსესხებელის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, სადაც მსესხებლის მხრიდან შესაძლებელია პრეტენზიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენა, არის XXX დეპარტამენტი. სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია მსესხებელთა პრეტენზიების განხილვის ვადების

დაცვასა და პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციისხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

6. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

6.1. "გამსესხებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს "მსესხებელს" ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების დაუყოვნებელივ, ვადაზე ადრე დაფარვა იმ შემთხვევაში, თუ:
6.1.1. მსესხებელი ან უზრუნველყოფის მიმწოდებელი რომელიმე პირი, ან მათი უფლებამონაცვლეები დაარღვევენ მათ მიერგამსესხებლის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს;
6.1.2. გაუარესდება მსესხებლის (ან თავდების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფინანსური მდგომარეობა და საფრთხე შეექმნებავალდებულებების ჯეროვან შესრულებას;
6.1.3. ადგილი ექნება მსესხებლის მხრიდან მცდარი, არასწორი ინფორმაციის მიწოდებას გამსესხებლისთვის;
6.1.4. განადგურდება, დაზიანდება ან ღირებულებით შემცირდება უზრუნველყოფის საგნ(ებ)ი და არ მოხდება მსესხებლისმხრიდან ჩანაცვლება/შევსება;
6.1.5. მსესხებლის მხრიდან დაირღვევა სესხის მიზნობრიობა;
6.1.6. მკვეთრად შემცირდება მსესხებლის კაპიტალი ან ბიზნეს აქტივები;
6.1.7. მსესხებელი არ შეასრულებ 4.2.2 პუნქტში მითითებულ ვალდებულებას;
6.1.8. ადგილი ექნება სესხის გადახდის შეთანხმებული ვად(ებ)ის/გრაფიკის დარღვევას;
6.1.9. მსესხებელი უარს განაცხადებს ცალმხრივად შეთავაზებულ ხელშეკრულების ცვლილებებსა ან/და დამატებებზე.

7. სხვა პირობები

7.1 მსესხებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება:
7.1.1. მსესხებელი გამოხატავს თანხმობას და ანიჭებს გამსესხებელს უფლებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითდა პირობებით, დაამუშაოს გამსესხებელთან დაცული ინფორმაცია, ასევე მსესხებლის შესახებ საკრედიტო ბიუროებში (მათ შორისსს „კრედიტინფო საქართველოს" (ს/კ 204470740) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში) დაცული ინფორმაციაგადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის. გამსესხებელი შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის შესახებ ყველა იმსაკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციობიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ინფორმაცია მუშავდება მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის დახელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილიწესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).
7.1.2. მსესხებელს გაცნობიერებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ მისი (როგორცმონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს,დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათიშეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.
7.1.3. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს (მონაცემთა სუბიექტი) აქვს საკრედიტო/სასესხო ვალდებულება კრედიტორის მიმართ,გამსესხებელი უფლებამოსილია ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო,არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება საკრედიტო ბიუროში მონაცემთა სუბიექტის დამატებითითანხმობის გარეშე, მონაცემთა სუბიექტის გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნით.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;
7.3. ნებისმიერი დამატება ან ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებში, ძალაშია თუ იგი შესრულებულია წინამდებარეხელშეკრულების ფორმის დაცვით.

7.4 გამონაკლისის სახით უაქცეპტო წესით დასაშვებია ხელშეკრულების პირობების ცვლილება ცალმხრივად გამსესხებლის მიერმსესხებლისათვის (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდებისათვის ან/დაუზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისათვის) მინიმუმ 2თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, რომელიც უნდა განხორციელდეს მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნისმეშვეობით მსესხებლის რეკვიზიტებში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივადცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს მსესხებლის მხრიდან ვადაგადაცილების ინტენსიურობა (10 სამუშაო დღე 6 თვიან პერიოდში) ან/და სესხის მიზნობრიობის შეუსრულებლობა;

7.5. გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ცვლილების ცალმხრივად განხორციელებისას, წინასწარი შეტყობინებისვალდებულება არ მოქმედებს თუ ცვლილება ხორციელდება მსესხებლის სასარგებლოდ;

7.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახებაგამსესხებლის მიერ, ამავე ხელშეკრულების მოქმედების მთელს პერიოდში და ასევე მისი ვადის გასვლიდან 5 (ხუთი)კალენდარული წლის ვადით.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

7.8. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

7.9. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოებში ან/და საქართველოსკანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოებში, ამასთანავე მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოსსამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარედავასთან დაკავშირებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნასდაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

7.10. მხარეების შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია გამსესხებლის ამავეხელშეკრულებით განსაზღვრული ფაქტობრივი ადგილსამყოფელი;

7.11. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ან მისი სხვაპუნქტების მოქმედების ბათილობას;

7.12. ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არნიშნავს ასეთი უფლების უარყოფას;

7.13. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთიგადაეცემა მსესხებელს.

7.14. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო "კრისტალ"-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთმოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: სს მისო "კრისტალი" არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგანგანხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერდაიბრუნოთ თქვენი თანხა.

8. მხარეთა ხელმოწერები

“გამსესხებელი“	"მსესხებელი/წარმომადგენელი"
წარმომადგენელი: _____	_____
იდენტიფიკაციის შემსრულებელი: _____	/ სახელი და გვარი სრულად /